ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №701026

ნომერი: AR1133457

თარიღი : 22.05.2013

გაცემის თარიღი : 11.06.2013

გაცნობის თარიღი : 11.06.2013

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , ხილბოსტნეულის ბაზის მიმდებარედ , (ნაკვ. 03/026) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მაკა ღუღუნიშვილი პ/ნ 01026011783
- თბილისი აკურის ქ. N 27

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, ხილბოსტნეულის ბაზრის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით #01.19.15.003.026, სავაჭრო-სასაწყობო ობიექტის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას, გაცნობებთ, რომ თქვენი AR178487 (11.09.2012) განცხადების პასუხად, სამსახურის მიერ #347290 (12.09.2012) ბრძანებით ერთხელ უკვე გეთქვათ უარი და განმეორებით გაცნობებთ:

1994 წლის 11 ნოემბრის ,,საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლიდან გამომდინარე, მშენებლობის ნებართვის მაძიებელმა საავტომობილო გზების მფლობელს უნდა შეუთანხმოს გზის ღერძიდან 100 მეტრის მოშორებით განსახორციელებელ მშენებლობასთან დაკავშირებით.

,,საქართველოს საავტომობილო გზების რიგ მონაკვეთებზე რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის (მშენებლობის) სამუშაოების განხორციელების მიზნით ზოგიერთ გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ 2009 წლის 18 თებერვლის #104 საქართველოს მთავრობის განკარგულების მიხედვით 2009-2011 წლიდან დაგეგმილია გზების მონაკვეთების რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოები, მათ შორის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის გორი-სამტრედიის მონაკვეთის, თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის თბილისი-საგარეჯოს მონაკვეთის, თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის თბილისი-რუსთავის მონაკვეთებისა, ფონიჭალა-მარნეული-გოგუთის საავტომობილო გზის ფონიჭალა-მარნეულის მონაკვეთის. ზემოაღნიშნულ საავტომობილო გზების რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციით გათვალისწინებულ მონაკვეთებზე საპროექტო გადაწყვეტილებებით დაგეგმილი სამუშაოების დასრულებამდე შეჩერებული იქნა გზის ღერძიდან 100 მეტრიან ზოლში მიწების გასხვისება და გზისპირა ინფრასტრუქტურის ობიექტების განთავსებაზე ნებართვების გაცემა.

თქვენ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ მიწის ნაკვეთი, რომელზეც ითხოვთ ქალაქმშენებლობითი პირობების დადგენას, მდებარეობს თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის თბილისი-საგარეჯოს მონაკვეთის ღერძიდან 100 მეტრის რადიუსში. შესაბამისად, მასზე მშენებლობის ნებართვის გაცემა ზემოაღნიშნული განკარგულებით დადეგენილი შეზღუდვის გაუქმებამდე შეჩერებულია. გამომდინარე აქედან, ამ ეტაპზე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.